




**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

მამრობითი გვიმრა



მამრობითი გვიმრა, ჩადუნა, (*Dryopteris filix-mas*), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ასპიდიუმისებრთა ოჯახისა. იზრდება ევრაზიისა და ჩრდ. ამერიკის ტყის ზონაში. ჩადუნა *Dryopteris*-ის გვარის ტიპური სახეობაა. იგი ჩვენში ყველაზე ფართოდ გავრცელებული გვიმრაა, ამის გამო თვით გვარსაც ჩადუნა ეწოდება და 150-მდე სახეობას მოიცავს. გვხვდება დედამიწის ზომიერ და ტროპ. ზონებში.

მამრობითი გვიმრა

საქართველოში გვხვდება 9 სახეობა. ჩადუნას გარდა ფართოდაა გავრცელებული *D. carthusiana* (ადრე *D. spinulosa*). მაღალ მთებში გვხვდება კავკასიური ენდემი *D. oreades*, მთის ქვედა და შუა სარტყელში - *D. borneri*. საქართველოში აღწერილი 3 სხვა სახეობა გავრცელებულია თურქეთშიც.

ი. მიქელაძე
